სამხატვრო-სალიტერატურო

# ნიამორები

1

ფურცლები



# ბიბლიოგრაფიული შე-ნიშვნა

**სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „თებერვალი"**

თებერვლის შუა რიცხვებში გამოვიდა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „თებერვალი." მონაწილეობენ: ქ. რატიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, გ. გარსიაშვილი, ალილუსი, ხ. ნ. და გრიშო თვეთა. ჟურნალი პირველ საფუძვლიანი ნაბიჯია ახალგაზრდა მწერლების მიერ სალიტერატურო ცენტრიდანაც განდევნილი, და როგორც ჩვეულებრივად პირველი ცდა ეს გამოცემაც ხასიათდება სისუსტით და მიმბაძველობით. ახალგაზრდა დებიუტანტები ეკლექტიკური გატაცებით გამოეკიდებიან ჩვენი ლიტერატურის ახალ მიმდინარეობას. განსაკუთრებით მისაგან ფორმა და წყობის მანერა. მაგრამ ეს გადამუშავებული მიმბაძველობა აშკარად წერს სტილებს და პოეტების ხასიათს ლექსებს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჟურნალში მაინც არის ყურადღებიანი ხაზები. ყველაზე მეტი თავისებურობის სურვილი ამ ჯგუფში აქვს ქ. რატიშვილს, მისი ლექსების ზოგიერთ სტრიქონებში უთუოდ პოეტური განცდა იგრძნობა. ნ. ჯავახიშვილი თავის „ფიქრთა ნაკადში" გალაქტიონ ტაბიძით სუნთქავს, ამიტომ დროს შას ძლიერად არ ეხერხება ტრიოლეტების წერა. მისი ტრიოლეტები ძალდატანებით შეკოწიწებული ხაზებია. და რითმებიც მეტად მოიკოჭლებს. მ. გარსიაშვილი და ა. ნ. ფერმენტინით პროზაიკოსია. ჯგუფს აზრად ჰქონია ჟურნალის ყოველ თვიურად გამოცემა და ის თავის სახელით მოწმობს, რა თვეშიაც ის გამოვა. აზრი ორიგინალურია.

—?—

3. ?

11 სექტემბერი 20

ч. Іч(?) 20ნ

# მისამართები:


პირველი სიტყვა . . . . . . . კრწანისის ველი.

კოტე რატიშვილი „თებერვალი“ . . . . . . . ფიქრის-გორა.

ოსკარ უაილდი „კეთილის მომქმედი“ . . . . . } ლონდონი.
" " „სამართლის ბჭენი“ . . . . . }

მიტო ჯავახიშვილი „ფიქრის ნაქარგი“ . . . . . . . მამა დავითის დოლბართი.

გივლი გარსიაშვილი „ნეტავ კიდევ გახსოვს?“ . . . . . მატენის ქუჩაბანდი.

" " „და სიკვდილი ასეთი ამაზრიყო“ . } ყაზბეგის ქუჩა.
" " „შენი სურათი“ . . . . }

აქილესი „არშის კვნესა“ . . . . . . . . სასტუმრო ვიქტორია.

ა. მ. „ბალი“ . . . . . . . . . . . . . . ვარდის უბანი.

გრიშა თუთა . . . . . . . . . . . . . საბურთალო

მიტო ჯავახიშვილი „სამი ტრიოლეტი“ . . . . . . ვერის ბაღები

კოტე რატიშვილი „ახალი თბილისი“ . . . . . . . . რუსთველის პროსპექტი.



ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
Академия наук ГССР

# პირველი სიტყვა

ჩვენი უცნაური ჟურნალი, ეჭვს გარეშეა, ბევრს დაცინვის ღიმილს მოჰგვრის სახეზე, მაგრამ ეს გარემოება ჩვენ ოდნავადაც, არ გვაშინებს. ქვეყანაზედ უნაკლოდ არაფერი არსებობს! ჩვენ, შეიძლება ახალი არაფერი შევიტანოთ დღევანდელ აღრევის ლიტერატურაში, მაგრამ ერთ მცირე ნიმუშად ჩვენც შევიქმნებით. არავინ იფიქროს, თითქოს ამ გამოსვლით ჩვენ გვსურდეს სახელის მოხვეჭა! სრულიადაც არა! ეს გამოსვლა თვით დღევანდელ ურყეველ გარემოების წყალობაა —ამიტომ გაბედულად ვდგამთ ნაბიჯს და დე, მათ ვისაც პირზე დაცინვის ღიმილი მოუვა — დახუროს და ნუღარ წაიკითხავს შიგ ამოჭრილ სალიტერატურო წარწერებს .

შეიძლება, ეს წარწერები ისევე ცივი და ჟრუანტელის მომგვრელი იყოს, როგორც თვით სათაური, როგორც მიმდინარე თვეა, მაგრამ გამოგიმჟღავნებთ ჩვენ საიდუმლოს და გეტყვით, ჩვენს რედაქციას, რომლის ბინადრობა თვით თანამშრომლებმაც არ იციან, აზრად აქვს მომავალ თვითეულ თვეში, თვისდა მიხედვით სახელი გამოუცვალოს ჟურნალს და **თებერვალის** შემდეგ დაერქვას **მარტი**, მერე **აპრილი**, შემდეგ **მაისი** და სხვა, და გვრწამს, როგორც სახელი, ისე მისი შინაარსიც შეიცვლება. თუ თებერვალში გვცივა, მაისში და თიბათვეში ხომ გავთბებით! და თუ თებერვალში ჩვენი შემოქმედება გაყინულია, გაზაფხულზედ ხომ ისიც გაიშლება იის ფრად?!..

მაშ მივენდოთ დროს და მისგან შობილ თვეებს!..

კოტე რატიშვილი

# თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

ვსტირი. მზეო მალე... თვალი დაიცალა.
ყინვა ვერ დავძალე, ჩემთვის მოიცალა.
თეთრი თებერვალი ზიქზაქობს და ჰბერავს.
ზევით ვიღაც ქალი თეთრეულებს ჰკერავს..
აგერ მოკვდა ბუზი, ფრთებში შეეყინა,
ღაწვებზედ ბუსუსი ფეხზედ შეეყინა
ჰყინავს თებერვალი... ცხვირიც გამილურჯა..,
ნეტავ ვიყო მთვრალი. გავაჭენო ლურჯა...
მივდივარ სოფელში, ვერ ვამჩნევ ბილიკებს,
მუნჯი ჩემი ქსანი თოვლ-ქვეშ ბილოვლოკებს.
სუდარებში მკვდრები თვალით მელანდებიან,
ორღობებში ხმები... ძაღლნიც ჰყეფდებიან...
ჩურჩხელა და ჩირი, ჩამიჩი და ტყლაპი...
ხარჯაბეჩის ჭირი — მეტრი არის ლაფი.
ახ, ძველო მუხარო! ბლივს მოვკარი თვალი,
ვერას მიზამ ქარო... ჰყინავს, თებერვალი...

ოსკარ უაილდი

# კეთილის მოქმედი

იყო ღამე. და იგი იყო ეული

და აი იხილა შორით ქალაქი, გალავან გარშემორტყმული, და ვიდოდა მსწრაფლად ქალაქისაკენ, ხოლო ოდეს მივიდა ახლო მოესმა ხმა ფერხთა მხიარულთა და სიცილი განცხრომაში მყოფ ბაგეთა, და გრგვინვა მრავალთათასი ფანდურისა. და ბჭისკართან მისული, ითხოვდა ქალაქში შესვლას და ვინმემ კარისკაცთაგანმა მისცა გზა

და აი იხილა სახლი მარმარილოსი, ხოლო წინაშე მისსა მარმარილოსავე სვეტნი უცხონი და მოკაზმულნი ყვავილთა ჭნით, ხოლო კერონი კედაროსი ენთო სახლში და გარეშე.

და განვლო ზღურბლი სახლისა.

და ოდეს განვლო პალატი ხალკიდონისა, და პალატი იასპისა, და მივიდა პალატსა სალხინოსა, იხილა ვინმე მწოლარე ზღვის მარჯანის სარეცელზე, ხოლო მისი თმა მოქარგული იყო ცეცხლეული ვარდით და ღვინისაგან წითლად ლაწვნი.

მიუახლოვდა, ხელი შეახო და ჰკითხა:

— რისთვის ჰლევ დღეებს ამ რიგად?

ჭაბუკი მობრუნდა, იცნო იგი და პასუხი აგო:

— კეთროვანი ვიყავი და შენ განმკურნე. სხვა რა მოვიქმედო აწ?

და დასტოვა სახლი, და ვიდოდა ქუჩებში.

და კვალად იხილა დედაკაცი ერთი, რომელს სამოსი და სახე დაფერილი ჰქონდა, ხოლო ქოშები მარგალიტით ასხმული. ოდნავ მოშორებით მიჰყვებოდა ყრმა ორფეროვანს წამოსასხამში გახვეული. მსგავსად მეძებრისა, მონადირეს რომ მისდევს. სახე დედაკაცს მიუგავდა კერპის მშვენიერს სახეს, და ვნებითა ჰბრწყინვიდა ჭაბუკის მზერა.

დაეწია, ხელი შეახო ყრმას და ჰკითხა:

— რისთვის უმზერ ასე ამ დედაკაცს?

ჭაბუკი მობრუნდა, იცნო იგი და პასუხი აგო:

— უსინათლო ვიყავი, შენ მწყალობე თვალი. მაშ რას უმზირო სხვას?

დაეწია და შეეხო მგზნებარედ აფერადებულს სამოსს დედაკაცისას და უთხრა:

— ან იქნებ არა უწყი სხვა გზანი სავალი, გარდა ცოდვის გზისა?

დედაკაცი მობრუნდა, იცნო იგი, და გაიცინა, და პასუხი აგო:

— განა შენ არ მომიტევე ცოდვანი? და აი ჩემი გზა გზაა ლხენისა.

და იგი ელტვოდა ქალაქს.

ხოლო ოდეს გარდასდგა ნაბიჯი, რათა გასცილებოდა ალაყაფს, იხილა ყმა-

წვილი მჯდომარე, რომელიც ცრემლს აფრქვევდა. და მიუახლოვდა, და შეეხო იმის გრძელ კულულებს, და ჰკითხა:

— რათა სტირი?

აღაპყრნა თვალნი ყმაწვილმა, იცნო იგი, და დაღონებით პასუხი აგო:

— მე მკვდარი ვიყავი, შენ მომანიჭე სიცოცხლე! და რაღა დამრჩენია, გარ-და ცრემლთა მტვრევისა.

## 2. სამართლის ბჭენი.

---

და აი მდუმარებდნენ სამართლის ბჭენი, და კაცი შიშველი წარსდგა წინაშე უფლისა. და გარდახსნა მეუფემ წიგნი ამ კაცის ცხოვრებისა.

და უფალმა უბრძანა კაცს.

— ბოროტებით იყო თანდაყოლილი შენი სიცოცხლე, და მკაცრი იყავი იმის მიმართ, ვინც ჰსაჭიროებდა შველას, და უსუსურთათვისაც ულმობელი და უქნარი იყავი. ღარიბნი მოვიდოდნენ შენთან და არ მოუსმენდი, ხოლო ყური დახშული გქონდა გაგებათ ურვეულთა გოდებისა. ობოლთა სამკვიდრებელი შენ-თვის მოგქონდა, და შენი მოყვასის ვენახში მელას შეაპარებდი. ბავშვებს ლუკ-მას წაართმევდი ძაღლთა სალხინოდ, და ჩემნი კეთროვანნი, რომელნიც ჭაობში სცხოვრებდნენ მშვიდათ და მადიდებდნენ მე, შენ მიერ დევნილნი იყვნენ, შენგან უმანკო სისხლით მოირწყოდა მიწა, რომლისაგან შენ შეგქმენი.

და კაცმა პასუხად სთქვა:

— ყოველივე ეგ მოვიქმედე!

და კიდევ გარდაჰხსნა მეუფემ წიგნი ამ კაცის ცხოვრებისა.

და უფალმა უბრძანა კაცს:

— ბოროტებით იყო თანდაყოლილი შენი ცხოვრება. სილამაზეს გამოუკრ-თობდი მე, ხოლო შენგან წაიბილწებოდა იგი, და სათნოებას შევიცავდი მე, შენ კი უყურადღებოთ ჩაივლიდი. შენი დარბაზის კედელნი მრავალსახედ იყო მოფე-რადებული, და გარყვნილების სარეცელს თარის სიმღერითა სცილდებოდი. შვი-დი ტრაპეზი დაუდგი ცოდვას, რომლის წილ ე წამე, და აკრძალულსა ჰხმარობ-დი საჭმელში, ხოლო შენი სამოსის პურპურზე ამოქარგული იყო სამი ნიშანი შერცხვენისა. მარადმყოფელი ოქროსა და ვერცხლისაგან კი არ იყო შექმნილი შენი კერპი, არამედ ხორცისაგან, რომელიც ჰკვდება. ნელსაცხებელს დააპკურებდი იმის თმას და ხელთ ჯავაირის ვაშლს მისცემდი. ზაფრანით შეუღებე ფერხნი და საუკეთესო ხალიჩა დაუფინე წინ. სურმით შეუღებე წამწამნი და ზმირნით დაუფარე სხეული. შენ თვითონ მუხლს მოიდრეკდი იმის წინაშე და შენი კერპის ტახტი კრთომილი იყო მზისათვის. მზეს აჩვენებდი საკუთარ სირცხვილს, ხოლო მთვარეს — უგუნურებას.

და კაცმა პასუხად სთქვა:

— ყოველივე ეგ მოვიქმედე!

და მესამედ გარდაჰხსნა უფალმა წიგნი ამ კაცის ცხოვრებისა.

და მეუფემ უბრძანა კაცს:

— ბოროტებით იყო თანდაყოლილი შენი ცხოვრება, და ბოროტებას მიუზღავდი კეთილის ნაცვლად და შეურაცხყოფას ნაცვლად სათნოებისა. ჭრილობით დაჰსერე ხელნი, რომელთაც გარწიეს; და შეიძულე ძუძუნი, რომელთაც თავისი რძით აღგზარდეს. მწყურვალნი წავიდნენ შენგან ისინი, ვინც სურით წყალი მოგართვა, ხოლო დევნილნი,—რომელთაც თავის ქოხებში მიგიღეს ბნელი ღამით,—გათენებისას გაეცი. საფარში შეიტყუე მტერი, რომელმაც სასიკვდილოდ არ გაგიმეტა, ხოლო შენთან მყოფი მეგობარი გაჰყიდე ფასად, და მხოლოდ ავ-ხორცობა გქონდა პასუხად იმათთვის, ვინც სიყვარული გიძღვნა.

და კაცმა პასუხად სთქვა:

— ყოველივე ეგ მოვიქმედე!

და მეუფემ დაჰკეცა წიგნი ამ კაცის ცხოვრებისა და სთქვა:

— ჭეშმარიტად გეტყვი, ჯოჯოხეთია შენი ადგილი. ჯოჯოხეთში წარგავლენ,

და კაცმა წამოიძახა:

— შენ ეგ არ ძალგიძს!

და მეუფემ უბრძანა კაცს:

— რისთვის არ ძალმიძს წარგავლინო ჯოჯოხეთს, მითხარი რად არ ძალმიძს?

— იმად, რომ დღე მარად ჯოჯოხეთში ვცხოვრებდი,—პასუხად იტყოდა კაცი.

და აი მდუმარებდნენ სამართლის ბჭენი.

და ხანდაზმით ისევ იტყოდა უფალი, და ასე უბრძანა მეუფემ კაცს:

— თუ არ ძალმიძს წარგავლინო ჯოჯოხეთს, ჭეშმარიტად გეტყვი, რომ სამოთხეს მოგაკუთვნებ ბინად. სამოთხეში წარგავლენ.

და კაცმა წამოიძახა:

— შენ ეგ არ ძალგიძს!

და მეუფემ უბრძანა კაცს:

— რისთვის არ ძალმიძს წარგავლინო სამოთხეს, მითხარი რად არ ძალმიძს?

— იმად, რომ არსად და არასოდეს არ ძალმედვა წარმომედგინა აზრად სამოთხე,—პასუხსა აგებდა კაცი.

და აი კვლავ მდუმარებდნენ სამართლის ბჭენი.

დ. ა.

მიცრო ჯავახიშვილი

# ფიქრთა ნაქარგი.

მწარე სევდით ნაქარგი, რა მწვავე და რა კარგი
იწურ ბა შორს ჰანგი ბურუს, ნელი ზმანებით,
და დამწვარსა შენს ნებით, შენს—ღრმა ბნელი თვალებით,
რაღაც უცხო წვალებით, გულს მე სევდა დამარგი.
და ეს იყო საღამოს, ვარდს ვსუნთქავდით სამოს.
როს არხევდა შენ სამოსს ბალს ნიავი მთვლემარე,
უცნაური ეს მხარე, როგორც შორი სამარე,
ფთხრიალებდა ვით მთვარე ამ მწუხრიან საღამოს..
ჩამოგცვივდა ეგ ფრთები, ცეცხლად აღარ ენთები,
ვითა ტყვიის წვეთები, გულს ეკლები გწვდებიან;
ვიღაც იბადებიან, ვიღაც თავს გევლებიან,
სადღაც ფიქრნი კვდებიან და შენ ცისფრად თენდები.
მიიძინებს ბალს ხმები, ილევ სევდით ვიდგები,
გულ ცივად აიღგზნები, თავს შეარხევ გრძენულად,
ჩახვალ შენ დაბნეულად ფიქრთა კიბეს რხეულად,
მე დამტოვებ ეულად შენ კი ზღაპარს ერგები...

გიგლა გარსიაშვილი.

# ნეტა კიდევ გახსოვს?!

(ამაყ გურანდუხტს)

ჩვენ ხომ ერთნი ვიყავით...

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ერთმანეთს ვეფიცებოდით უკვდავებას!..

შორით ისმოდა სამგლოვიარო ჰიმნი!

მე გითხარ: ეს ჰიმნი, ეს სიბნელე რაღაც მაშინებს, ჩემო კარგო!

მაშინებს მიტომ, რომ ვაითუ ჩვენი უკვდავი ლოცვები სამგლოვიაროთ გადაიქცნენ?!

მერე...

ნეტავი გახსოვს რა მიპასუხე!?

თავს ჰღუნავ, გრცხვენიან..

მოგაგონებ..

ჯერ კიდევ მაშინ მოცისკროვნე დროშა ამაყად ფრიალებდა. ჩვენ ერთად, ხელი ხელს ჩაკიდულნი მივდიოდით.

და გავუარეთ ეკლესიას!

იქ სანთელნი ლაპლაპებდნენ, ცის შუქი ელვარებდა ეკლესიის გარშემო და შიგნიდგან კი მოგვესმა! „იბედნიერეთ“!

დიახ ამ ლექსით: „იბედნიერეთ!“

— „ხედავ, სადაც კი გავივლით ყველა ბედნიერებას გვისურვებს! მითხრა ეს და მაგრად ჩამკიდე ხელი.

ოჰ! რა ახლონი ვიყავით მაშინ ერთმანეთისთვის...

მე გავჩუმდი...

გავჩუმდი მიტომ, რომ ბედნიერი ვიყავ!..

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . .

გუშინ გავიარე იმ ეკლესიის გვერდით.

სიბნელით იყო მოცული იგი.

ცას მოყუშულობა კალთებს ჰშლიდა მის გარშემო.

მე მარტო ვიყავ..

შორით მომესმა ქვითინი...

ოჰ! რა შორი იყო ჩვენი მანძილი...

მე გავჩუმდი.

გავჩუმდი მიტომ, რომ მკვდარი ვიყავ!..

**ნეტავ კიდევ გახსოვს ის დღე!?..**

გიგლა გარსიაშვილი.

## შ ე ნ ი ს უ რ ა თ ი.

ჰაერი იკვრება.
მძიმე ხდება და სუნთქვაც ძნელდება.
შველა მწყურიან და ის კი არსად არის,
ამბობენ: არაფერი გიშველისო.
მიშველის და იცი რა?
შენი სურათი!
ამას წინათ გთხოვე იგი.
შენ მითხარი: ჩემო კარგო! სურათი მე არა მაქვს. დამაკვირდი და გადიღე იგი.
ეხლა მე შენთვის კარგი აღარა ვარ.
კარგობის დროს ვერ გადვიღე სურათი;
რადგან ამისათვის არც დრო და არც მოცლა იყო.
არც მეგონა, რომ იგი დამჭირდებოდა...
ეხლა დამჭირდა და დაგაკვირდი; მაქვს შენი სურათი!
ძვირი დამიჯდა მისი გადიღება!
დახე რა გამოვიდა:
— ?
— აი შენი სურათი...

გიგლა გარსიაშვილი.

## და სიკვდილი ასე ლამაზი იყო...

მას პირველად დღეს დაექინა...
ჭაბუკს ჩვეულსა ალმაფრენას და ნეტარებას, უცაბედათ მოუსპეს იგი.
მას გაეცინა...
შეიქნა ავად, დაჰლექდა გული.
მოწხამულ ჰაერს ველარ იტანს ფაქიზი სული.
და ბევრი ბრძოლა მან ვერ უბედა ცხოვრების ტალღებს, ის მორცხვი იყო და ვერ ჰკრეფდა მოსეირნე ძალებს.
ჩაწვა ლოგინში.
მას გარს უვლიან მშობლები ცივათ, ვერ შეუტყვიათ რა მოუვიდა მას უცაბედათ!?..

ჭაბუკი სდუმს, თვალებს არ ახელს, მით ეჯავრება უმზიროს ნათელს.. როს გული მთელი და ზრახვა წმინდა მას უცინოდა, როს ბედის ღმერთი თვის ძალს არ ზოგდა და უღიმოდა, მაშინ თვით ნაბიჯს ის უმატებდა და ნათლის ქსელში მთლად ეხვეოდა.

და ეხლა...

წევს მდუმარე, დაღონებული, მაგრამ მაინც აჩნევს კვალი მას მხიარული. .

მზე ჩადიოდა.

თრთვილი ცივი ძირს მოდიოდა და ყინულს ქვესკნელს მეტად სციოდა.

ჭაბუკს ეძინა.

დედას ცრემლი წუთს შეუჩერდა, რა ნახა შვილი მშვიდათ მძინარე და მით დამშვიდდა...

ის იღიმოდა.

მას ეჩვენოდა, აშლილი თმა გიშერ-ფერადი, მთლათ მოელვარე ოდნავ ღიმით ნაზად მზერადი.

და მოსცურავდა.

ფოთოლთ შრიალს არ ეპუოდა, მისკენ იწევდა სურდა მასთან დროის გატარება, თვისი სიცილი; თუ წაართმევდნენ უდგებოდა უმალი სიკვდილი მოუახლოვდა

და ჩააკვდა მას გრძნობიარეთ, მთლად მიიზიდა — დაუკარგა ნათელი სახე და დავიწყა მომხიბვლელი ლამაზი მხარე.

ოდნავ გაინძრა.

დედა უმალ მას დააკვირდა. ორი ცრემლი დამრგვალებული ჭაბუკს თვალზედ ზედ მოსდგომოდა.

დედამ თვის ბაგე შვილის ტუჩებს სწრაფლ შეუერთა — თავი დახარა და მწარედ იქვე აქვითინდა ..

გარეთ ნისლი მთას უცებ მოსწყდა, ძირს ჩამოეშვა და გაერთხო ცოდვილ ქვეყანას! ნიშნათ გლოვისა ფრინველთ ხროვამ უკლო თვის სტვენას და მხარეც არეულთ პირობობით აღელვებული, უხმობდა თვისკენ ჩაგრულთ სტუმარს — შავ ფერად სევდას!..

ჭაბუკი სული ტკბილ ოცნებით გარდაცვლილიყო.

და სიკვდილი იმ წუთს ლამაზი იყო!..

აქილესი

# არშიის კვნესა.

როს აგისრისე ნორჩი მუმუს კამკამა ღილი,
რად შემომესმა უიმედო არშიის კვნესა?..
რად დაიფხრიწა ცის-ფერ ჩითის ზილოფი მარხილი
და ალამურდა მოწყენილის ცუშილი ცალუკვესი?!
მდელოს სილოფეს ჯერ დაიხრი ლოფით ნაშანი,—
ქვეშ გადგიშალე ლექსთ დომინოს ავი ზეწარი;
გადაგაფარე ქინის ქერქით დაფნის სამანი
და გამოვისხმე რითმის ჩრდილში იელი ცეზარი!.
შორს მთის ხერჯინზე აოფლილი შვერთა ავრორა,
როს გადგიპოხე ხველი ცუჩი ხველ ამშორებით:
„ნუ დამიკორცნი სიქალწულეს“ — განიმეორა
შენმა ცუჩებმა ცახცახით და აორსულებით!..

---

ა. მ. **ვარდის უბანი**

# ბ ა ღ ი

(რვეულიდან „მარო“).

შევჩერდი...

ჩემ წინ საუცხოვო ბაღი გადაშლილიყო, რომლის ნახვამ გამაშტერა ერთ წამს, რადგან მისი სიტურფე რაღაც არა ჩვეულებრივი სანახაობა იყო ჩემთვის..

არ ვიცი, ცხადლივ იყო ეს თუ სიზმრად, ეს კია რომ იქ დაბნეულმა უხვმა სურნელებამ და მრავალფერ ვარდთა ლეგიონმა მიიპყრო ჩემი გონება..

ბაღის ღია კარებში ის ის იყო შესვლა დავაპირე: უფრო ახლოდან დავმტკბარიყავი მშვენიერ სილამაზით, რომ ჩემ წინ მოხუცი მებაღე გაჩნდა, რომლის დამჭკნარ სახეს გასრბოლილ დროთა ნაშთი ნათლად დასჩნეოდა... მისი სახე არაფერს ეუბნებოდა ადამიანს... ის ცივი იყო ისევე, როგორც კარი ბაღში შესავალთან.

— მოხუცო, ღვთის გულისათვის, ვისია ეს ბაღი?! რა მშვენიერი ვარდები

ჰყავის შიგ! არ შეიძლება შევიდე და ახლოდან დავტკბე მათი ზექვეყნიურ სიტურფით?

— ყრმაო, მომიბრუნდა მკვეთრი ხმით მოხუცი—ეს ბაღი ჩემია და შიგ მოყვანილი ვარდები მე მეკუთვნის მხოლოდ. მე უვლი მათ და ვანიჭებ სიცოცხლეს.. ეს ბაღი დიდი ხნის არის და არც მე მახსოვს ჩემი სიყმაწვილის დღენი. აქ ხშირად მოდიან ახალგაზრდა და ხანში შესული კაცები, და მთხოვენ ვარდების მოწყვეტას. მე იმდენად გულკეთილი და გულჩვილი ადამიანი ვარ, ვებრალებ მათ, ხვეწნა-მუდარას, ზოგჯერ ტირილს და ცრემლებს და ნებას ვაძლევ თითო ვარდის მოწყვეტისას. მაგრამ, საკვირველი თვისება აქვთ ვარდებს, მოწყვეტილნი ცოტა ხნის შემდეგ ჰკვდებიან, რადგან აკლიათ ჩემი მოვლა და მზის სითბო... ბევრჯერ, ახალგაზრდა კაცი, ერთი რომ დასჭკნობია, ხელახლად მოსულა ახალ ვარდის მოსაწყვეტად... მე ნება მომიცია, რადგან ამ ვარდებს ასეთი თვისება აქვთ. თუ გინდა, წამო, შენც ამოირჩიე შენთვის ვარდი და მოსწყვიტე...

— არა მოხუცო, არ მინდა არც ერთის ამ მშვენიერ ვარდთაგანს მოუსპო ჩემი ჟინით სიცოცხლე. დაე, მათ იცოცხლონ უფრო დიდხანს.. მხოლოდ გთხოვ შემიყვანე შენს ბაღში, ახლოდან დამანახვე მათი სიტურფე, ახლოდან მასუნებინე მათ და ეს იკმარებს ჩემთვის, მე მათ არ შევეხები...

გაკვირვებულმა ჩემი პასუხით მოხუცმა მომკიდა მკლავში ხელი და შემიყვანა ბაღში... ათასფერი ქორფა ვარდები იშლებოდნენ თავიანთ სურნელებაში და მზის სხივები ეარშიყებოდნენ მათ თავ-დავიწყებით.

— აი უყურე ეს ქორფა ვარდი გუშინ გაიფურჩქნა მზის სხივებით ჯერ ახალგაზრდა და უცოდველია. რამდენიმე ხნის შემდეგ შეიძლება მივსცე ვისმე ნება მის მოწყვეტისა. აი, ეს ფოთოლ გაშლილი ვარდი უკვე სწუხს მომწყვეტის დაგვიანებას არ უნდა ზეზეულად დაჭკნობა, სურს ვაჟის მთრთოლვარე ხელში დალიოს დღენი. ჯერ უცოდველია! აიღე, დააჭკნე იგი! .

უარყოფითად გავიქნიე თავი... ვარდები გრძნობით ირხეოდნენ ვნება აღძრულნი. ჩვენ კი სულ წინ მივდიოდით და თვალი ვერ სტკბებოდა მათ სიმშვენიერით.

— მოხუცო, — უთხარი მებაღეს—რატომ არ მიანიჭებ მათ მოწყვეტის შემდეგაც სიცოცხლეს? მაშინ ხომ ასე მწარე და სევდიანი არ იქნება მათი ბოლო? დაე, მოწყვეტილებმაც იცოცხლონ და გახარონ მზის სხივებით.

— არა ყრმაო, ეგ შეუძლებელია! ამ შეუდრეკელ კანონს, რომელიც დაუწესებია თვით ცვალებადობას, ვერ გადაუხვევს ვერც ერთი მათგანი.

— ეს ვისია ეს საბრალო ვარდი გზაზედ დაუნდობლად რომ გადაუგდიათ? ჰხედავ, სულს ჰლევს. ამ აგონიაშიც კი ის ლამაზია, მაგრამ ეტყობა ვიღაცას ადრე მოუწყვეტია და ვერც კი მოუსწვრია გარედ გატანა, რომ აქვე დასჭკნობია და გადაუგდია იგი კვდება... ნუ თუ ამას არავინ შეიბრალებს?..

— თუ გებრალება და მოგწონს მისი დრო გარდასული სიტურფე აიღე და შეინახე. მის მოწყვეტაში შენ ბრალი არ დაგედება. ეგ გუშინ ერთ ალფრთოვანებულმა ახალგაზრდა ყმაწვილმა მოსწყვიტა. მეფიცებოდა მის სიკვდილს თავისას

შეუერთებდა და თურმე არ, აქვე დაუგდია ხელში შეკრული. მჯერა, ის ვაჟი ისევ მოვა ახალ ვარდის მოსაწყვეტად!

დავიხარე გზაზედ მგდებარ ვარდის ასაღებად მინდოდა მისი მიმქრალი სურნელებით დამეტკბო ჩემი ყნოსვა. მაგრამ... მინამ ვარდს ავიღებდი, მის ფოთლები ჩასცვივდა და ხელში ცარიელი ღერო და შემრჩა. გამხმარი, ეკლიანი ღერო..

გამოვტრიალდი და გამოსავლისკენ გამოვეშურე...

სახე მეკნარი მებაღე უძრავად იდგა და თვალით მაცილებდა. მისი სახე ცივი იყო ისევე, როგორც კარი ბაღის გამოსავალთან...

დაცვივნული ვარდის ფოთლები მან მოკრიბა და შეინახა გამხდარ უბეში...

გრიშა თუთა

*
* *

ოდეს მთვარე და ვარსკვლავი
რიონში იბანებოდეს—

გ. ჭალადიდელი

ფაზისის სარკეს მშვიდი თვლემით მიემინება,

კენტ-კენტ ვარსკვლავებს შიგ ციმციმით ჩაეცინება;

მთვარის სიზმრება ჭაობს ჭავლით დაევინება,

მწუხარე გულში კაეშანი დაებინება;—

სევდის ბურუსში მზის წალკოტი დაიბადება

და ოცნებაში მშვენიერი შენი ხატება

მიხ. ჯავახიშვილი

# სამი ტრიოლეტი.

I

ჩააქრეთ ელექტრო, გავიდეთ ჰაერზედ,
მოვიხმოთ მოტორი—შოფერი მარდია
„ედემში“— ხომ იცით ბალები ვერაზედ?
ჩააქრეთ ელექტრო, გავიდეთ ჰაერზედ.
მიზოძეთ მოვასხათ ხავერდი თლილ მხრებზედ.
ეგ რა სურნელია მუშკი თუ ნარდია?
ჩააქრეთ ელექტრო, გავიდეთ ჰაერზედ,
მოვიხმოთ მოტორი—შოფერი მარდია!

II

ჭრელი კაბინეტი, უსიტყვო ლაქია...
ვნებასა მოველი - სხეული ნაყიდია,
უბრძანეთ თქვენს სასმელს სახელი რა ჰქვიან...
ჭრელი კაბინეტი უსიტყვო ლაქია..
ელექტროს მიუკელ ვით ლურჯი ჭრაქია,
ვით კარში ეს მთვარე ცაზედ ხომ ჰკიდია...
ჭრელი კაბინეტი, უსიტყვო ლაქია,
ვნებასა მოველი—სხეული ნაყიდია.

III

ბრილიანტები ციმციმდებიან გიშრის თვალებში,
უალერსებენ ბროლის მკერდსა ძვირფასი ქვები.
შენი სხეული ზანტად ნებივრობს ხშირ ფარჩებში—
ბრილიანტები ციმციმდებიან გიშრის თვალებში
შენ ასვენიხარ მუდამ ვნებიან ჩემს მწვავ ფიქრებში,
და შენ დაჩრდილულ, გამოუცნობ თვალებზედ ვკვდები.
ბრილიანტები ციმციმდებიან, გიშრის თვალებში,
უალერსებენ ბროლის მკერდსა ძვირფასი ქვები..

კოტე რაჭიშვილი

# ახალი თბილისი.

## ერთგული დედა.

ჩემი თბილისი – პანდორის ყუთი,
შიგ შავი ფრთებით ციფონი ხელობს...
გარს გორგონები და სულთა მხეთი...
სიძველე კვდება სიახლე გელობს...
ცრუ მემკვიდრენი — უკუღმართ მეღით
ჰქურდავენ ქურდებს... ჰბაძავენ მამალს..
ოხ... მე ვამაყობ ერთგული დედით,
სახის იერი მიმიგავს მამას...

## კაფეშანტანში.

ლოთი-ფოთებში... დამთხვეული ავტომობილი..
რუსთველის ქუჩა – სიმღერებით კაფეშანტანი .
მუსიკა ცხელი... ღრიანცელი.., ოთახი თბილი. .
შამპანიური.., რამდენიმე ციცხვილი ცანი ..
თუთუნის ფერი ულვაშები აბზეკილები...
ნავთის-ნასურსი-დავშენილი მთვრალი ცურები...
გადაცქვნილი ბული, აქეთ-იქით თოქმა ქილები..
გიჟი თვალები... ავი სახე... ვერ გადურჩები..
ქინიანობა .. ცური ცურთან .. ხელის ფათური ..
ხვეწნა-მუდარა .. დაპირება .. სიცრუეების ხლართვა ...
ფეხით ჩურჩული... წამწამთ რხევა მუსანათური.
თფილიანცი... ანგარიში... წყვილად დაფანცვა ..

Библиотека-Музей
Академия наук

ჩვენი მკითხველების საყურადღებოდ:

მარტის შუა რიცხვებში გამოიცემა

„თებერვალი“-ს № 2:

# „მ ა რ ტ ი“

სარედაქციო ამხანაგობა.

სტამბა ამხ. „ხელოსნება“ ამერიკის ქ. № 20.

თ 393
1920

ორი თუმანი